MES 9 23 0000115309

02/02/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:
1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგ იგიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა
თამარ გვასალია - დაწესებულების წარმომადგენელი.

შპს გეტი
ლია კობაიძე-ქოიავა - სკოლის დირექტორი

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკა

თამარ მაისურაძე - სკოლის დირექტორი
ქეთევან მაისურაძე - დირექტორის მოადგილე

ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი ,,ეტა ლონი"
თამარ ქარჩავა - სკოლის დირექტორი

ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა
გივი კიკვაძე - სკოლის დირექტორი
ნანა მგალობლიშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს გეტი
თამარ მიდელაშვილი
მაგდა ბარამაძე

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკა
ქეთევან ბაცანკალაშვილი
ნინო მუმლაძე

ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი ,,ეტა ლონი"
ირმა ხუციშვილი
ნანა ედიშერაშვილი

ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლა
დავით ლიპარტელიანი
ლია გრიგოლია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 18 იანვარს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭო სწევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს გეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ ,,ეტალონის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ განაცხადა თვითაცილება ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვასთან მიმართებით, რათა ინტერესთა კონფლიქტი არ გამოეწვია, ვინაიდან საბჭოს წევრი იმყოფებოდა შრომით ურთიერთობაში დაწესებულებასთან. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წარმომადგენელმა, კერძოდ, დღის წესრიგს დამატებოდა შემდეგი 2 საკითხი: შპს ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლისთვის (ს/კ: 215128644) ავტორიზაციის გაუქმების საკითხი; ,,შპს ოქლიფის სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 იანვრის N18055 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

წარმოდგენილი შუამდგომლობების გათვალისწინებით, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. შპს ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
2. ,,შპს ოქლიფის სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 იანვრის N18055 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა;
3. შპს გეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ ,,ეტალონის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

1. შპს ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენლის განმარტებით, ააიპ - საქართველოს საპატრიარქოს ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლამ 2023 წლის 18 იანვარს ცენტრში წარადგინა წერილი, რომლის მიხედვითაც, არსებული სკოლა დაფუძნდა ახალი იურიდიული პირის სახით, კერძოდ, დაწესებულებამ შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და შპს-დან გადავიდა ა(ა)იპ-ის ფორმაზე. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას (ს/კ: 215139892) 2023 წლის 12 იანვრის №18049 გადაწყვეტილებით 6 წლის ვადით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, რომლის ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 26 დეკემბერი. შესაბამისად, დაწესებულება შუამდგომლობდა შპს ფორმით არსებული დაწესებულებისთვის გაუქმებულიყო ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, ხომ არ სურდათ დამატებით პოზიციის დაფიქსირება.

სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას (ს/კ: 215139892) 2023 წლის 12 იანვრის №18049 გადაწყვეტილებით 6 წლის ვადით მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, და დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, საჭირო იყო გაუქმებოდა ავტორიზაცია შპს ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას (ს/კ: 215128644) რომლის ბაზაზეც დაფუძნდა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ფოთის წმინდა ნიკოლოზის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა (ს/კ: 215139892). მოცემული ეტაპისთვის შპს ფორმით არსებულმა დაწესებულებამ დაასრულა ყველა აქტივობა და ფუნქციონირება დაიწყო ახალდაფუძნებულმა სკოლამ.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ შპს ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი ძალაში შესულიყო საბჭოს ჩატარების დღეს - 18 იანვარს. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 20 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მეშვიდე პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, შპს ფოთის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას (ს/კ: 215128644) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

2.,,შპს ოქლიფის სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებ ის ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 იანვრის N18055 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომ ის გასწორების საკითხის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს სხდომაზე განმარტა, რომ „შპს ოქლიფის სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 იანვრის N18055 გადაწყვეტილებაში ფიქსირდებოდა ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, N18055 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტში არ ფიქსირდებოდა სხდომის ოქმის ნომერი. შესაბამისად, მიზანშეწონილი იყო ცვლილება განხორციელებულიყო აღნიშნული

გადაწყვეტილების მე-3 პუნქტში და დაკორექტირებულიყო შემდეგნაირად: ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 იანვრის N17159 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;“.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობები. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს ოქლიფის სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 იანვრის N18055 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ,,შპს ოქლიფის სკოლის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 იანვრის N18055 გადაწყვეტილებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და მესამე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 12 იანვრის N17159 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად;“.

3. შპს გეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, თამარ მიდელაშვილმა და მაგდა ბარამაძემ.
ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 15 და 16 ნოემბერს. დაწესებულება ახორციელებდა სწავლებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლა ახორციელებდა საათობრივი ბადის მესამე მოდელს რომელიც შეთანხმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. შეფასების სისტემა იყო სამ კომპონენტიანი და ათქულიანი რაც სრულ შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სკოლაში ფუნქციონირებდა ხუთი

კათედრა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ირიცხებოდა 267 მოსწავლე. ხოლო სტატუსის თვითშეფასების მაძიებლის კითხვარში დაწესებულებას მოსწავლეთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა მითითებული ჰქონდა 270 მოსწავლე. ექსპერტის განცხადებით, სულ დაწესებულებაში იყო 19 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით, დაფებით, სასწავლო რესურსის განსათავსებელი კარადებით. საკლასო ოთახების რაოდენობა აკმაყოფილებდა სკოლის მიერ თვითშეფასების კითხვარში მოთხოვნილ მოსწავლეთა რაოდენობას (270 მოსწავლე). დაწესებულების ბალანსზე იყო სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე მორგებული ინდივიდუალური მერხისა და სკამის კომპლექტი - 332 ერთეული და 85 - სააქტო დარბაზის სკამი. ექსპერტმა განაცხადა, რომ წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით, ბიბლიოთეკაში დაცული იყო 1180 ერთეული წიგნი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლის მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამებოდა სტანდარტს და გათვლილი იყო მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებზე.

ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, შემუშავებული ჰქონდა სკოლის დირექტორის 29.12.2021 წლის N44 ბრძანებით დამტკიცებული ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და რისკების მართვის“ დოკუმენტი, რომელიც 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შეთანხმებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარადგინა საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაგზავნილი 16.11.2022 წლის კორესპონდენცია N2-38, სადაც აღნიშნული დოკუმენტის შეთანხმების თაობაზე ითხოვდა შუამავლობას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ მართვის საინფორმაციო სისტემის e-school -ის მიხედვით სკოლაში დასაქმებული იყო 50 პირი. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კომპეტენცია, საქმიანობის წესი, ფუნქციები განისაზღვრებოდა სკოლის წესდებით, შინაგანაწესით და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამებოდა საათობრივ ბადეს. სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის მიმართ გაცემული რეკომენდაციების თაობაზე. მან განაცხადა, რომ დაწესებულების მეორე სართულზე განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია შესაბამისი ინვენტარითა და ვიზუალური მასალით, სადემონსტრაციო კარადებით, სკამებით, მერხებით და მასწავლებლის მაგიდით, სადემონსტრაციო საშუალებები, კერძოდ, კრონშტეინზე დამაგრებული პროექტორი მოძრავი ეკრანით და LCD ტელევიზორით. ლაბორატორიაში იყო სველი წერტილი. ოთახს ჰქონდა ბუნებრივი განათების და განიავების საშუალება, არ იყო აღჭურვილი გამწოვი კარადით, ფანჯარაზე განთავსებული იყო პატარა ზომის ვენტილატორი. ლაბორატორიის კედლები აღჭურვილი იყო სხვადასხვა თემატური პლაკატებით. თვალსაჩინოებები და მულაჟები განთავსებული იყო ღია თაროებზე ან კარადებში. გამოკრული იყო ლაბორატორიით სარგებლობის წესი. იზოლირებულ კარადებში განთავსებული იყო ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის სწავლებისთვის საჭირო მასალები, თუმცა, რეაქტივებისათვის ლაბორატორიაში არ იყო სპეციალური კარადა (საცავი). სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ქიმიის სწავლებისთვის საჭირო მასალები განეთავსებინა სპეციალურ კარადაში (საცავში) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში დაემონტაჟებინა გამწოვი კარადა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 50 მოსწავლეზე მეტი მოსწავლის სწავლის შემთხვევაში სკოლისთვის მომსახურება უნდა გაეწია ექიმს (საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატით რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“, „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“). ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰყავდა სერტიფიცირებული ექიმი და ექთნის პოზიციაზე ხელშეკრულება

გაფორმებული ჰქონდა პიროვნებასთან, რომელიც 2020 წლიდან მუშაობდა სკოლა ,,გეტში“, დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მინიჭებული ჰქონდა პედიატრის კვალიფიკაცია, მაგრამ არ ფლობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტისNo41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ, საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სერტიფიკატს რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“, „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დაეკმაყოფილებინა 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები და უზრუნველეყო სკოლაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალის (ექიმის) აყვანა. ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარადგინა სკოლის დირექტორის 15.11.2022 წლის N36/ძ ბრძანება, შპს გეტი - კერძო სკოლაში ექიმის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის და მისი ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის შექმნის/გასაუბრების თარიღის განსაზღვრის შესახებ“, რომლითაც დგინდებოდა, რომ სკოლამ გამოაცხადა კონკურსი ექიმის თანამდებობაზე.

ექსპერტის განცხადებით, შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა დაწესებულების შინაგანაწესს, რომელიც დამტკიცებული იყო 2017 წელს. ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია სკოლას გადაეხედა შინაგანაწესისთვის და შეეტანა ამ პერიოდამდე განხორციელებული შესაბამისი ცვლილებები.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა შრომითი ხელშეკრულებების შინაარსს, რომელშიც წარმოდგენილი იყო შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები, თუმცა, სასურველი იყო მათი გადახედვა. კერძოდ: საქართველოს განათლების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტო No174/ნ ბრძანების მე-13 მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულებით უნდა განსაზღვრულიყო, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი უნდა ყოფილიყო, რაც მოქმედ ხელშეკრულებებში არ ფიქსირდებოდა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, გადაეხედა ხელშეკრულებებს და საქართველოს განათლების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტო No174/ნ ბრძანების მე-13 მუხლის მესამე პუნქტის გათვალისწინებით შრომით ხელშეკრულებებში შეეტანა ცვლილება.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არსებული გამწოვი სისტემით, რომელიც დაწესებულების მიერ გამოგზავნილი ფოტომასალის მიხედვით არ შეესაბამებოდა სტანდარტებს. ასევე, მან განაცხადა, რომ სკოლის სტრატეგიული გეგმა და სამოქმედო გეგმა არ მოდიოდა ერთმანეთთან შესაბამისობაში და მან მოუწოდა დაწესებულებას, რომ შეემუშავებინათ აკადემიურად გამართული დოკუმენტაცია.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა დაწესებულების ექიმის ვაკანსიის თაობაზე, დასრულდა თუ არა კონკურსი და იქნა თუ არა აყვანილი კანონმდებლობით დადგენილი წესით მოთხოვნების შესაბამისი კადრი. ასევე, იგი დაინტერესდა უსაფრთხოების წესის შეთანხმების საკითხით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. მან მოუწოდა დაწესებულებას, რომ ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად წესრიგში მოეყვანა სკოლის შინაგანაწესი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექიმის ასაყვანად გამოცხადებულ ვაკანსიაზე ვადა ჯერ არ იყო დასრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლას მიმართა, რომ ტესტური ტიპის შემაჯამებელი დავალებებზე მეტად სკოლას გამოეყენებინა კომპლექსური დავალებები.

საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი დაინტერესდა დაწესებულების შენობის შესახებ, დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლის შენობის სართულებზე ფართის რაოდენობა არათანაბრად იყო განაწილებული, რაც იმას მიანიშნებდა, რომ სხვა დაწესებულებაც იყო განთავსებული აღნიშნულ შენობაში.

ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა განთავსებული იყო ერთ შენობაში და სხვა დაწესებულება ამ შენობაში არ იყო.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 300 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა დასკვნაში მოსწავლეთა რაოდენობა მითითებული იყო 270, ისევე, როგორც, ცენტრში შეტანილ სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა დაწესებულებას დაფიქსირებული ჰქონდა 270. ამასთან, წარმოების ფარგლებში, დაწესებულებას არ ჰქონდა დაფიქსირებული მოსწავლეთა მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობად 300, მათ შორის დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში, დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, სკოლას არ დაუფიქსირებია აღნიშნულის თაობაზე პოზიცია.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გეტის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 270 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს გეტს (ს/კ: 202388219) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 270 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს სხდომა, 17:00 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ.

4. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა და ნინო მუმლაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 24 და 25 ნოემბერს.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაზე. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლა ახორციელებდა მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ სასწავლო პროცესს, რასაც ადასტურებდა მრავალფეროვანი საგაკვეთილო და კლასგარეშე აქტივობები, პროექტული სწავლება და კლუბური მუშაობა. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებდა მოსწავლეთა თვითმმართველობა და მშობელთა სათათბირო. მაღალი იყო მოსწავლეებისა და მათი მშობლების თანამონაწილეობა სასკოლო და საგანმანათლებლო აქტივობებში. შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას შემუშავებული და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული ჰქონდა ინგლისური ენის გაღრმავებულად სწავლების მეთოდოლოგია. აღნიშნული პროგრამის ჭრილში, მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ინგლისური ენა შეესწავლათ სხვადასახვა ასპექტის საშუალებით (გრამატიკა, ლექსიკა, ლიტერატურა, მეცნიერებები და სხვ.), რისთვისაც სკოლა იყენებდა თანამედროვე სახელმძღვანელოებსა და საავტორო მასალებს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას, თავისი შეხედულებისამებრ, შემუშავებული ჰქონდა საათობრივი ბადე ეროვნული სასწავლო გეგმის N56 მუხლში განსაზღვრული III მოდელის შესაბამისად. საათობრივი ბადე, რომელიც აზუსტებდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნებისა და სკოლის მიერ დამატებით შეთავაზებული მომსახურების საათობრივ დატვირთვას თითოეულ კლასში, შეთანხმებული იყო საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. დაწესებულება მოსწავლეებს პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენის) გარდა, სთავაზობდა რუსულ ენას მესამე კლასიდან და იაპონურ ენას მეშვიდე კლასიდან. მოსწავლეთა ინტერესებზე დაყრდნობით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების პაკეტი.

ექსპერტის განმარტებით, ვინაიდან კერძო სკოლას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი შესაძლებელი იყო ესწავლებინა ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისაგან განსხვავებული სქემით, ექსპერტების მხრიდან დაწესებულებას მიეცა რჩევა, შეეთანხმებინათ ინგლისური ენის შეფასების სისტემა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ვიზიტის მიმდინარეობისას, 2022 წლის 25 ნოემბერს, სკოლამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნა N4-02/23 წერილი, შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას დირექციისა და უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემის შეთანხმების მიზნით. არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ინგლისური ენის გაძლიერებული პროგრამით განსაზღვრულ შეფასებაზე საპასუხო წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ჯერ-ჯერობით არ ჰქონდა მიღებული, თუმცა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჰქონდა სკოლასთან კომუნიკაცია გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით.

ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანური რესურსის შესახებ. მან განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა 36 მასწავლებელი და 10 ადმინისტრაციული პერსონალი. რაც საკმარისი რესურსი იყო სწავლა-სწავლების პროცესის სრულფასოვნად განხორციელებისთვის.
სკოლის მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულება მდებარეობდა თბილისში, ჩარქლის ქუჩა N65-ში. 398 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და მასზე არსებულ 873 კვ.მ. შენობა-ნაგებობაში.
ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა გაფორმებული შეთანხმება ფართის მეპატრონესთან, სადაც იკითხებოდა, რომ დასრულებისთანავე გაგრძელდებოდა ხელშეკრულება, მასში ჩადებული იყო უვადობის პირობა, თუმცა ვადები არ იყო დაზუსტებული.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერტთა მხრიდან, მეტი სიცხადისთვის გაიცა რჩევა, იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით გაფორმებულ შეთანხმებაში დაკონკრეტებულიყო იჯარის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და განსაზღვრულიყო ახალი საავტორიზაციო ვადით. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა იჯარის განახლებული ხელშეკრულება, რომელიც ძალაში იყო 2022 წლის 22 დეკემბრიდან და მოქმედებდა 10 წლის განმავლობაში.
ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა, კიბის უჯრედებისა და სკოლის შენობის უკანა მხარის უკეთ გაკონტროლების მიზნით, დამატებითი კამერების დამონტაჟებასთან დაკავშირებით. ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული და დაწესებულების მიერ შეძენილი და დამონტაჟებული იქნა კამერები კიბის უჯრედში და სკოლის შენობის უკანა ნაწილში.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ ჰქონდა დაწესებულებას განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების ჩატარების გრაფიკი. ასევე, საბჭოს წევრი დაინტერესდა სკოლის ვებ გვერდის ფუნქციის შესახებ, რომელიც მისი განმარტებით, არ გადმოსცემდა სრულ ინფორმაციას დაწესებულების შესახებ.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული გრაფიკი გათვლილი იყო მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებზე, იმისთვის, რომ არ დამთხვეოდა რამდენიმე შემაჯამებელი დავალება ერთ დღეს და არ დატვირთულიყო მოსწავლეთა ყოველდღიური განრიგი. სკოლის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ დაწესებულების ვებ გვერდი იქნა დაზიანებული და ზოგიერთი საკითხი ვებ გვერდზე საჭიროებდა გასწორებას.
საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა ასახული იყო თუ არა საჯარო რეესტრში იჯარის ხელშეკრულება, რომელშიც დაფიქსირებული იქნებოდა ხელშეკრულების ნომერი, თარიღი და ხელშეკრულების საგანი.
სკოლის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აღნიშნულის თაობაზე წარმოება დაწყებული იყო საჯარო რეესტრში და არ იყო დასრულებული.
საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ დააყენა შუამდგომლობა, რომ სკოლის მიერ ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში დაწესებულებას წარმოედგინა საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული იჯარის ხელშეკრულება, რომელშიც დაფიქსირებული იქნებოდა ხელშეკრულების ნომერი, თარიღი და ხელშეკრულების საგანი.
საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 250 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას (ს/კ: 200193673) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, გაფორმებისთანავე ცენტრში წარმოედგინა საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული განახლებული იჯარის ხელშეკრულება, რომელშიც დაფიქსირებული იქნებოდა ხელშეკრულების ნომერი, თარიღი და ხელშეკრულების საგანი.

საბჭოს სხდომაზე, 17:40 საათზე გამოცხადდა შესვენება.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:50 საათზე.

5. ა(ა)იპ - სასწავლო - აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ ,,ეტა ლონის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ირმა ხუციშვილმა და ნანა ედიშერაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 28, 29 ნოემბერსა და 1 დეკემბერს. დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ზუგდიდში, სწავლებას ახორციელებდა დაწყებით ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ა(ა)იპ - სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრი „ეტალონის“ (შემდგომში სკოლა) სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე. სკოლის მისიის ბოლო ნაწილში მოხსენიებული იყო: “ხელი შევუწყოთ პატრიოტული ცნობიერების, დემოკრატიული ღირებულებების, მოქალქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე, ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი, ინტელექტუალურად განვითარებული მოქალაქეების ჩამოყალიბებას და მოვამზადოთ ისინი აქტიური სამოქალაქო ცხოვრებისათვის”. ექსპერტის განმარტებით, მოცემული ფორმულირება თავისი შინაარსით შეესაბამებოდა ესგ-ს საშუალო საფეხურის მისიას. მოქალაქის ჩამოყალიბება და ცხოვრებისათვის მომზადება საჭირო იყო მოსწავლის ცხოვრების ახალ, სკოლის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, რაც დაწყებით საფეხურისთვის შესაძლებელია მიუღწევადი აღმოჩენილიყო.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას დაწყებითი საფეხურისთვის სასწავლო გეგმაში ასევე ფორმულირებული ჰქონდა ესგ-ით გათვალისწინებული დაწყებითი საფეხურის მისიაც. ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა, ყურადღებით გადაეხედათ სკოლის მისიისთვის და შესაბამისობაში მოეყვანათ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების საჭიროებებთან, შესაძლებლობებთან.

ექსპერტმა განაცხადა, რომ სწავლა - სწავლების პროცესი დაწესებულებაში ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობდა.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ექსპერტთა ვიზიტისას ფოიეში, თითოეულ საკლასო ოთახში განთავსებული იყო მოსწავლეთა ნამუშევრები, კედლის გაზეთები, პოსტერები, ნახატები, კომიქსები, ნაკეთობები, რაც ადასტურებდა, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში, სხვადასხვა სასწავლო პროექტში. ნამუშევრები სხვადასხვა საგნობრივი დისციპლინის ფარგლებში იყო წარდგენილი.

მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება. აღნიშნულ ხელშეკრულებაში იჯარით სარგებლობით მოქმედების ვადად მითითებული იყო 2029 წლის 09 აგვისტო. ვიზუალური დათვალიერების მიხედვით, სკოლის ტერიტორია იყო შემოსაზღვრული ღობით. სკოლის სრული ფართი იყო 898 კვ.მ., ხოლო შენობის 457,1 კვ.მ. შენობა იყო ორსართულიანი. სკოლის შენობის პირველი სართულზე განთავსებული იყო სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, სამედიცინო კაბინეტი და საკლასო ოთახები. მეორე სართულზე მდებარეობდა საკლასო ოთახები და ბიბლიოთეკა. პირველ და მეორე სართულზე განთავსებული იყო სველი წერტილები. შენობა - ნაგებობა ვიზუალური დათვალიერებით კეთილმოწყობილ და პოზიტიურ, საგანმანათლებლო პროცესისთვის ეფექტურ გარემოს შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ექსპერტის განმარტებით, საკლასო ოთახები და სასწავლო ინვენტარი აკმაყოფილებდა დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ზღვრულ რაოდენობას - 95 მოსწავლით განსაზღვრულ კონტიგენტს.

ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლაში იყო ცენტრალური გათბობის სისტემა, რაც ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში იყო დაზიანებული, იმ დროისთვის სკოლა გათბობის საშუალებად იყენებდა დახურული ტიპის დენის (ზეთოვან) გამათბობლებს. ექსპერტთა მხრიდან გაიცა რჩევა, რომ სკოლას დროულად მოეყვანა მწყობრში გათბობის საქვაბე სისტემა, რომ ზამთრის სეზონში მოსწავლეებს ჰქონოდათ შესაბამისი გარემო პირობები.

ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობდა შენობის მეორე სართულზე სამასწავლებლო ოთახში გამოყოფილ ზონაში. ექსპერტთა რჩევით,

სამასწავლებლო გადატანილ იქნა შენობის პირველ სართულზე არსებულ ოთახში და ყოფილი სამასწავლებლო დაეთმო სრულად ბიბლიოთეკას, სადაც მოეწყო სამკითხველო სივრცეც.
ექსპერტის განმარტებით, სკოლას არ ჰქონდა გამოწერილი პერიოდული გამოცემები, ვიზიტის პერიოდშივე სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა გაზეთ ,,ახალ განათლებასთან''.
ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ შენობის პირველ სართულზე მდებარეობდა ადაპტირებული სველი წერტილი, რომელიც არ იყო სრულად მოწესრიგებული. ვიზიტის პერიოდში ადმინისტრაციამ ადაპტირებულ საპირფარეშოში დაამონტაჟა მოაჯირის კონსტრუქცია. სკოლას შემუშავებული ჰქონდა ინკლუზიური განათლების მექანიზმები - ინკლუზიური განათლების კონცეფცია. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე, მზად იყო უზრუნველეყო ამგვარი მოსწავლე ადაპტირებული გარემოთი.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილი იყო ყველა იმ საჭირო ინვენტარით და მედიკამენტით, რაც გათვალისწინებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ. შესაბამისად. სამედიცინო კაბინეტში იყო გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებები, სისტემატურად ხდებოდა მათი განახლება. ასევე, იყო ონკანი ნიჟარით, სამუშაო მაგიდა, კარადა. თუმცა, სამედიცინო კაბინეტში არ იყო შირმა და სამედიცინო ტახტი, ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნული სამედიცინო ინვენტარი შეიძინა. საშტატო განრიგის შესაბამისად, სკოლას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა ექთანთან. ის აწარმოებდა სამედიცინო მომსახურების აღრიცხვას, მას ევალება მოსწავლეებისთვის არა მარტო პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, არამედ მათი ჯანმრთელობის მონიტორინგის გაწევა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამავე ბრძანების შესაბამისად, სკოლას უნდა ჰყოლოდა ექიმი, ამიტომაც, ექსპერტთა რჩევით სკოლამ გამოაცხადა კონკურსი ექიმის პოზიციაზე.
ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების'' პროექტი, რაც 27.07.2020 წელს ჰქონდა გაგზავნილი განათლებისა და მეციერების სამინისტროში შესათანხმებლად. სკოლამ მიიღო შენიშვნები და მოსაზრებები აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით. რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული პროექტი სკოლის მიერ გაგზავნილი იქნა 12.08.2020 წელს. ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართა წერილით, სადაც ითხოვდა ინფორმაციას, მიიღო თუ არა თანხმობა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შეთანხმებაზე.
ექსპერტის განმარტებით, სკოლაში წესრიგის დაცვა კონტროლდებოდა დამონტაჟებული კამერებით. რომლებიც ჩართული იყო 24 საათი. დაწესებულებაში სულ დამონტაჟებული იყო - 4 ვიდეოკამერა, თუმცა, ,,აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟების ექსპლუატაციის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს #1143 ბრძანების" შესაბამისად, ექსპერტთა რჩევით, სკოლამ დაამონტაჟა დამატებით 4 ვიდეოკამერა სკოლის შენობისა და გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის შინაგანაწესის 14-ე მუხლში აღნიშნული იყო, რომ დისციპლინურ გადაცდომას განიხილავდა სკოლის დირექტორი, ასევე, გადაცდომა შეიძლება განეხილა დისციპლინურ კომიტეტს. ექსპერტის განმარტებით, ვინაიდან სკოლის სტრუქტურაში ასეთი რგოლი არ არსებობდა და რეალურად დისციპლინურ წარმოებას ახორციელებდა სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სკოლამ შინაგანაწესში განახორციელა ცვლილებები.

ადამიანურ რესურსთან მიმართებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო-სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად

საჭირო ადამიანური რესურსი. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამებოდა საათობრივი ბადით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მართვის საინფორმაციო სისტემის თანახმად, სკოლაში დასაქმებული იყო 13 მასწავლებელი, მათგან 8 უფროსის სტატუსის, 1- მაძიებელი, ხოლო 4 უსტატუსო.
ექსპერტის განცხადებით, მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ადგილზე დათვალიერების შედეგად გაირკვა, რომ ხელოვნების მასწავლებელს არ ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია. სკოლას, ექსპერტთა მხრიდან, მიეცა რეკომენდაცია და ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, კანონმდებლობის სრული დაცვით, სკოლამ გამოაცხადა კონკურსი ამ მასწავლებლის ვაკანსიაზე.

ექსპერტის განმარტებით, სკოლის ადმინისტრაციასთან, ტექნიკურ პერსონალთან და მასწავლებლებთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებები დანომრილი იყო და აღრიცხული სარეგისტრაციო ჟურნალში. მასწავლებლებთან გაფორმებული იყო სტატუსის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი, სამუშაო დრო, შვებულების მიცემის წესი, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო, დასვენების დრო, ხელშეკრულების მოქმედების ვადა მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ გასათვალისწინებელი იყო, რამდენიმე შრომით ხელშეკრულებაში ხელშეკრულებების საგანსა და მასწავლებლის უფლება-მოვალეობებში ასახულიყო მათი სტატუსი და შესაბამისი მოვალეობები.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა ცენტრალური გათბობის სისტემის თაობაზე, თუ როდის მოხდებოდა სისტემის შეკეთება.
სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრალური გათბობის სისტემის შეკეთების თაობაზე ხელშეკრულება დადებული ჰქონდა სკოლას შესაბამის კომპანიასთან 2022 წლის ოქტომბრის თვეში. ხელშეკრულების პირობებში მითითებული იყო, რომ გათბობის სისტემის ექსპლუატაციაში შესვლა მოხდებოდა 2023 წლის 30 იანვრისთვის.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ შემაჯამებელი დავალების მთავარი ფორმა სკოლას ჰქონდა ტესტური ტიპის, და აღნიშნული გაეთვალისწინებინა დაწესებულებას და მეტი წილი შემაჯამებელი დავალებისა განეხორციელებინათ კომლექსური ტიპის დავალებებით.
ექსპერტმა, აღნიშნულთან დაკავშირებით, განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარადგინა მასწავლებელთა პორტფოლიოები, სადაც იყო მრავლად კომლექსური დავალების ნიმუშები და საგნობრივი კურიკულუმის მონახაზები, რაც მიუთითებდა სკოლის წინსვლასა და განვითარებაზე.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა სკოლის ინტერესს და შესაბამისად მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა სკოლის წარმომადგენელს მიმართა, რომ დაწესებულების ვებ გვერდი საჭიროებდა ენობრივი სისწორის მიზნით გადახედვას და სკოლისთვის კარგი იქნებოდა თუ გაითვალისწინებდა აღნიშნულ გარემოებას.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 95 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონის“ ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 95 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - სასწავლო აღმზრდელობითი და ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცენტრ „ეტალონს“ (ს/კ: 220383608) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 95 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

6. ა(ა)იპ- ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, დავით ლიპარტელიანმა და ლია გრიგოლიამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 28, 29 ნოემბერსა და 1 დეკემბერს.
ექსპერტმა ისაუბრა დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკაზე. მან ხაზი გაუსვა, რომ სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობოდა არაფორმალურ განათლებას, მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნის გამოყენებას ახდენდნენ სხვადასხვა პროექტების განხორციელებისას, სკოლა ხელს უწყობდა მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.
ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებული შემოქმედებითი გარემო მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით იყო შექმნილი.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სკოლას ჰყავდა ექთანი, რომელსაც შეეძლო პირველადი დახმარება გაეწია

სკოლაში მყოფი ადამიანებისთვის. თუმცა, სკოლის კონტიგენტიდან გამომდინარე, დაწესებულებას უნდა ჰყოლოდა ექიმი. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულების ხელმძღვანელის განმარტებით, არაერთხელ გამოცხადდა ვაკანსია, თუმცა განაცხადი არცერთხელ არ შესულა. ბოლო ვაკანსია დაწესებულებამ გამოაცხადა 2022 წლის 01 დეკემბერს.
ექსპერტის განცხადებით, სკოლის ტერიტორიაზე დამონტაჟებული იყო უსაფრთხოების კამერები, რომლებიც მუდმივად უზრუნველყოფდნენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. ვიზიტის დროს არ იყო უზრუნველყოფილი 2 კიბის უჯრედის კონტროლი. დაწესებულებამ ექსპერტთა რეკომენდაციით, ვიზიტის მსვლელობისასვე დაამონტაჟა 3 ვიდეო-კამერა, რამაც შესაძლებელი გახადა ვიდეო მეთვალყურეობის სისტემით ზემოაღნიშნული კიბის უჯრედების გაკონტროლება.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა ორგანიზაციის წესდება. ასევე, შემუშავებული ჰქონდა სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სკოლის სტრუქტურა და მართვის მექანიზმები, სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის, ტექნიკური პერსონალის ფუნქციები, სკოლის სტრუქტურული ერთეულების - პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების, კლასის დამრიგებლის ფუნქციები. აღნიშნული დებულებები და წესები დამტკიცებული იყო ერთი ბრძანებით ცალ-ცალკე დოკუმენტებად. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებას მიეცა რჩევა, შეემუშავებინა სკოლის დებულება, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ყველა სტრუქტურული ერთეულის დებულება და თავად სტრუქტურის აღწერილობაც.
ექსპერტის განცხადებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის მიხედვითაც აწარმოებდა შემოსული და გასული დოკუმენტაციის აღრიცხვას. ასევე, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალს, თანამშრომელთა პირად საქმეებს და ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალს. დოკუმენტაციის აღრიცხვა ხდებოდა ელექტრონულად. წესის მიხედვით, სკოლას არ ჰქონდა გამიჯნული შემოსული და გასული კორესპონდენციები, ასევე, გამოსცემდნენ მხოლოდ ერთი ტიპის ბრძანებებს (საერთო ბრძანებები). ექსპერტთა მხრიდან, დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ გამიჯნულიყო სხვადასხვა ტიპის კორესპონდენციები და ბრძანებები, რაც გაამარტივებდა საქმისწარმოებას.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 300 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლის ავტორიზაციის და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების ა(ა)იპ - ჩოხატაურის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის სამრევლო სკოლას (ს/კ: 242008965) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 18:40 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა